შ.პ.ს. "ემ-ემ-ტე ჰოსპიტალი"
LTD "MMT HOSPITAL"
თბილისი, 0159,
ლუბლიანას ქ. №5, მე-9 სართ.
+995 (0)32 2234023
info@mmt.ge
9th floor, 5, Ljubljana street
Tbilisi, 0159, Georgia
www.mmt.ge

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ შპს „ემ-ემ-ტე ჰოსპიტალი" გახლავთ საერთაშორისო რანგის სპეციალისტებით და ულტრათანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით დაკომპლექტებული, ISO 9001-2015 მფლობელი კლინიკა, რომელიც უდავოდ არის ლიდერი უროლოგიის დარგში და არამხოლოდ საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელს რეგიონში. ამის უდავო დასტური არის: კლინიკის არაერთი საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო - კლინიკური მიღწევა; მკურნალობის საერთაშორისოდ აღიარებული, საუკეთესო სტანდარტების დანერგვა საქართველოში; არაერთი პროფესიონალი ექიმის აღზრდა; ათასობით გადარჩენილი სიცოცხლე, როგორც საქართველოს ასევე მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებისა. კლინიკა მუდმივად ახორციელებს არაკომერციულ ინვესტიციებს მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე აპარატურის შესაძენად, მხოლოდ უკანასკნელ ხუთ თვეში კლინიკამ განახორციელა 2 მლნ. ლარის ინვესტიცია რეგიონში (თურქეთი, რუსეთი, ამიერკავკასია) უპრეცენდენტო სადიაგნოზო და სამკურნალო აპარატურის შესაძენად.

შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, კლინკის ფუნქციონირება და არსებული ვალდებულებების შესრულება (სამედიცინო საქმიანობის პროფილის

შენარჩუნების ვალდებულება ეკონომიკის სამინისტროს მიმართ; მომწოდებლების მიმართ დავალიანება; ბანკის სესხის მომსახურეობა; თანამშრომელთა მიმდინარე სახელფასო ანაზღაურება) საფრთხის ქვეშაა დამდგარი.

გაგებით ვეკიდებით რა ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ კლინიკის ფუნქციონირების შესანარჩუნებლად. ამავდროულად გთხოვთ, შეძლებისდაგვარად დაგვეხმაროთ მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების შესრულებაში, რათა კრიზისის შემდგომაც შევძლოთ საქმიანობის ეფექტურად გაგრძელება და საქართველოს მოქალაქეებს არ მოუწიოთ საზღვარგარეთ წასვლა უროლოგიური დაავადებების სამკურნალოდ და უფრო მეტიც, რათა კლინიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს პოსტკრიზისული საქართველოს ეკონომიკის აღდგენაში, როგორც სამედიცინო ტურიზმის რეგიონულმა, დარგობრივმა ცენტრმა.

დიდი პატივისცემით,

გურამ ქარაზანაშვილი

შპს „ემ-ემ-ტე ჰოსპიტალი“-ს დამფუძნებელი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ონკოლოგიური უროლოგიის ასოციაციის პრეზიდენტი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი უროლოგიაში

საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი

ტელ: 599 119944

ელ-ფოსტა: qarazanashvili@gmail.com

www.mmt.ge

www.gaou.ge